კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა
I ტური
მე-5 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ბრუნებადი სახელები?
   ა) ნუთუ, ან ბ) მიწერა, გაასწორა გ) ჩაი, ანანია
2. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ფორმაცვალებადი?
   ა) ნაწილაკი ბ) თანდებული გ) ნაცვალსახელი
3. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რომელია ფორმაუცვლელი?
   ა) სამი, რვა ბ) ვარსკვლავი, ყლორტი გ) კი, არა
4. რამდენი კონკრეტული არსებითი სახელია გამოყენებული წინადადებაში:
   „მსახურნი სწეწდნენ ლამაზ ფრთებს ამაყ ფრინველს.“
   ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი
5. რომელია კრებითი სახელი წინადადებაში: „რამდენიმე თვეში მშვენიერი ყვავილნარი გააშენა გიორგიმ.“
   ა) თვეში ბ) რამენიმე გ) ყვავილნარი
6. რამდენი ზედსართავი სახელია გამოყენებული წინადადებაში: „სიჩქარეში და შიშში ველარ ასწრებდნენ სრულიად გაეპტკვნათ დაჯაბნებული ბატი.“
   ა) ერთი ბ) სამი გ) ოთხი
7. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმულ სიტყვათა წყვილი წინადადებაში: „როცა მონები და ყმები სახელგანთქმულის <u>სოფლის მებატონისა</u> შეიყრებიან, სულ ბატის სისულელეზე ლაპარაკობენ.“
   ა) მოთხრობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
8. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმულ სიტყვათა წყვილი წინადადებაში: "<u>გულგახარებული დედა</u> გულში იკრავდა უმწეო ბარტყს.“
   ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ვითარებითში
9. „გულის ფანცქალით, <u>ფრთადამტვრეული</u> ბატი ჩავარდა სადღაც ძიგვეში, მაგრამ თავისუფალი და მოხარული...“ როგორი სიტყვითაა გადმოცემული ხაზგასმული სიტყვა?
   ა) ერთფუძიანი სიტყვით ბ) კომპოზიტით გ) ფორმაუცვლელი სიტყვით
10. რამდენი არსებითი და ზედსართავი სახელია წინადადებაში: „მხოლოდ თავისი, რბილი, თბილი, ბუდე მონახა.“
    ა) ორი ზედსართავი და ერთი არსებითი.
    ბ) ერთი ზედსართავი და სამი არსებითი.
    გ) ორი არსებითი და ორი ზედსართავი.
11. ბრუნებადი სახელები არის:
    ა) ფორმაცვალებადი ბ) ფორმაუცვლელი გ) დამხმარე
12. რომელი არ არის სწორი სინონიმური წყვილი?
    ა) უქნარა-გამრჯე ბ) უმაქნისი-უქნარა გ) უპატივცემულოდ-აგდებულად
13. რომელია სწორი სინონიმური წყვილი?
    ა) ურჩი-თავნება ბ) გრძელი-მოკლე გ) მაღალი-დაბალი
14. რომელია სწორი ანტონიმური წყვილი?
    ა) უენო-ჩუმი ბ) თქმულება-გადმოცემა გ)ეალერსება-ეჩხუბება
15. წინადადებაში ხაზგასმული სიტყვები არის: „<u>დღე</u> და <u>ღამე</u>, <u>სიბნელე</u> და <u>სინათლე</u> გაიყარნენ... მას შემდეგ ერთმანეთი აღარ უნახავთ.“
    ა) ანტონიმები ბ) სინონიმები გ) ორფუძიანი სიტყვები
16. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წინადადებაში გამოყენებული რიცხვითი სახელი?
    „ მეშვიდე დღეს ხომ ვისვენებთ, ასე ხდება ყველგან.“
    ა) რაოდენობითს ბ) რიგობითს გ) წილობითს

17. რომელია არასწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) მე-60 ბ) მე-12 გ) მე-2-ე

18. რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) სამასსამი ბ) ოცდა ხუთი გ) ხუთას ოცდახუთი

19. რომელ წინადადებაში არაა შეცდომა?
ა) ბევრმა ადამიანებმა დამირეკეს, მომილოცეს დაბადების დღე.
ბ) უამრავ ვარსკვლავს ვხედავდი და გული სიხარულისგან მითრთოდა.
გ) ცოტა ვაშლები მეც შემახვედრეთ, გთხოვთ!

20. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?
ა) ,,ეს ნედლი ყურძენია, ქიშმიშში არ შეგეშალოს.“
ბ) ,,ხელის ქავილი აწუხებდა, ატამა დამსუსხაო.“
გ) ,,იქვე ახლოს, საათან დავდე საყურეც.“

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი: მე, თქვენ?
ა) ჩვენებითს ბ) კუთვნილებითს გ) პირის

22. რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ნაცვალსახელი: შენი, ჩემი?
ა) ჩვენებითს ბ) კუთვნილებითს გ) პირის

23. რამდენპირიანია ზმნა ,,წევს“?
ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი

24. შეუწყვეთ პირები ზმნას - *შეულეგა:*
ა) ის მას ბ) მას ის გ) მან მას ის

25. შეუწყვეთ პირები ზმნას - *წაახალისა:*
ა) მან ის ბ) მან მას გ) ის მას

26. რომელია ზმნიზედა?
ა) მშვიდად ბ) კარგი გ) თეთრი

27. რომელია ზმნიზედა წინადადებაში: „ლექსი კარგად იცოდა, არაფერი შეშლია.“
ა) კარგად ბ) ლექსი გ) იცოდა

28. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: მინდორში, მთაზე?
ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

29. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: მშვენივრად, თბილად?
ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

30. ზმნიზედათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება წყვილი: ზეგ, გუშინწინ?
ა) ადგილის ბ) დროის გ) ვითარების

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. ,,თავი იჩინა“ ანუ
ა) გამომჟღავნდა ბ) თავი გამოიჩინა გ) ამაყობს

32. ,,თავისუფლად ამოისუნთქა“ ანუ
ა) გულზე მოეშვა ბ) თვალები აეხილა გ) ლაფში ამოისვარა

33. „ანგარიში გაუსწორა“ ანუ
ა) თვალებში შეხედა. ბ) სამაგიერო გადაუხადა გ) ფული აჩუქა

34. ,, ნემსის ყუნწში ძვრება“ იგივეა, რაც:
ა) ყოველ ღონეს ხმარობს ბ) ბრაზობს გ) ფიქრობს

35. ,, ორმოს უთხრის“ იგივეა, რაც:
ა) ღალატობს ბ) სასეირნოდ დადის გ) ვარჯიშობს